საქართველოს მშრომელებმა მე დამავალეს ამ გრანდიოზულ საიუბილეო ფორუმზე ბეღეოველი მადლობა მეთქვა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა წარმომადგენლებისადმი დახმარების, მეგობრობისა და ძმობის გამო. (ტაშე).

საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბ

მოძმე ხალხების ურღვევი კავშირი

(გაგრძელება)

ომში უკვე შეიძლებოდა აღდგენილიყო, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ვერაგული პოზიციის გამო დღემდე ხელმოწერილი არ არის საზავო შეთანხმება. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ომი ვიეტნამში გრძელდება. სულ უფრო სასტიკი ხასიათი ენიჭება. კიდევ უფრო სერიოზულია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ დაიწყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურების დანაღმვა და ბლოკადა, კვლავ დღედაღამ ბომბავს მასირებულად ჩრდილოეთ ვიეტნამის მთელ ტერიტორიას. ნიქსონის ადმინისტრაციის მხრივ ეს არის ომის ესკალაციის უკიდურესად საშიში აქტი, ხაზი გაუსვა ნგუენ თხი ბინმა.

ვიეტნამელ ხალხს, თქვა შემდეგ ორატორმა, სწყურია მშვიდობა. მაგრამ ეს უნდა იყოს ნამდვილი მშვიდობა — მშვიდობა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში. ჩვენი ხალხი განაგრძობს ბრძოლას და მტკიცედ ირწმუნებს თავის ფიცს: „სჯობს გავწიროთ ყველაფერი, ვიდრე დავკარგოთ სამშობლო და გავხდეთ მონები". ჩრდილოეთ თანამემამულეებთან ერთად, ლაოსელი და კამბოჯელი მოძმე ხალხების მხარდამჭერ სამხრეთ ვიეტნამის არმიისა და ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაძლიონ ყოველგვარი სიძნელე. შეუპოვრად იბრძოლონ სრულ გამარჯვებამდე, ბოლომდე მოიხადონ თავიანთი წმიდათაწმიდა ეროვნული და მაღალი ინტერნაციონალური ვალი.

პარტია, საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი, თქვა შემდეგ ნგუენ თხი ბინმა, მტკიცედ უჭერენ მხარს განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური თავრობის პოზიციასა და კეთილ ნებას ვიეტნამის პრობლემის სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიმართ. ამჟამად ვიეტნამში შექმნილი უაღრესად სერიოზული ვითარების პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, თავიგრობისა და ხალხის მძლავრი მხარდაჭერა მეტად დიდ გავლენას იხდენს ვიეტნამთან სოლიდარობის მსოფლიო კამპანიაზე. უკვე დიდი ხანია ვიეტნამთან სოლიდარობა იქცა მთელი საბჭოთა ხალხის მასობრივ, უფართოეს მოძრაობად. ეს საბრძოლო სოლიდარობა მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხს მაღალ ინტერნაციონალიზმსა და მის მხურვალე სიმპათიას ვიეტნამელი ხალხისადმი.

სამხრეთ ვიეტნამის ხალხს, განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური თავრობის სახელით ნგუენ თხი ბინმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თავიგრობასა და მოძმე ხალხს, რომლებმაც უდიდესი, მნიშვნელოვანი და ეფექტიანი მხარდაჭერა და დახმარება გაუწიეს ვიეტნამელ ხალხს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოციალისტურმა წყობილებამ ლიტველ ხალხს საშუალება მისცა ერთხელ და სამუდამოდ მოელო ბოლო ექსპლოატაციისათვის, მშრომელი ადამიანის უუფლებობისათვის, სიღატაკისათვის, თქვა ლიტიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანანგაზა ა. ი. სნეჩკუსმა. სოციალიზმის წყალობით უმაგალითოდ გაიზარდა ხალხის აღმშენებლობითი ძალები. ლიტველი ხალხის განთავისუფლებისა და აყვავების გზა ხანგრძლივი და ძნელი იყო. მაგრამ ამ გზაზე იგი არ აყოფილა მარტოდმარტო. ლიტვის პროგრესული ძალები მუდამ ეყრდნობოდნენ რუსეთის პროლეტარიატის ძმურ მხარდაჭერას. საბჭოთა კავშირი მუდამ მხარს უჭერდა ლიტვას მაშინდელი იმპერიალისტური მეზობლებისაგან დაცვაში და როცა 1940 წელს დამახეს ფაშისტური დიქტატურა, ლიტველმა მშრომელებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ სურთ ახალი ცხოვრება აშენონ საბჭოთა ხალხებთან ერთად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ კავშირში.

ლიტვის შესვლამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, თქვა შემდეგ ორატორმა, განამტკიცა მისი სახელმწიფოებრიობა, უზრუნველყო მისი სვგარეო უშიშროება. იხსნა ლიტველი ერი გადაშენებისაგან, რასაც მას ჰიტლერელები უქადდნენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ლიტველ ხალხს ყველაზე ხელსაყრელი პირობები და შესაძლებლობანი შეუქმნა სწრაფი და ყოველმხრივი პროგრესისათვის.

დღეს, ჩვენი სახელმწიფოს შესანიშნავი დღესასწაულის დღეს, თქვა ა. ი. სნეჩკუსმა, ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ ყველა ჩვენი გამარჯვება მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის, მისი შებრძოლი რაზმის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის მეოხებით. გულითად მადლობას ვუძღვნით ყველა მოძმე ხალხს, და უწინარეს ყოვლისა დიდ რუს ხალხს, მჭიდრო თანამშრომლობისა და მეგობრული დახმარებისათვის სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

ჩვენი პარტიის ლენინურმა კურსმა, თქვა შემდეგ ორატორმა, გაჩამტკიცა საბჭოთა პოზიციები მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გულისწყრომითა და აღშფოთებით უარყოფენ იმპერიალიზმის ყოველგვარი მაჩანჩალების თავბედურ პრეტენზიებს ბალტიისპირეთის ხალხთა ეგრეთ წოდებულ განთავისუფლებაზე, გამოთქვამენ სიძულვილს ჩვენი ხალხის მტრებისადმი, რომლებმაც თავშესაფარი პოვეს იმპერიალისტებთან საზღვარგარეთ. მათ ჯერ ისევ ელანდებათ მათი ყოფილი ქარხნები, მამულები, ის დრო, როცა მშრომელთა ოფლით და სისხლით იძენდნენ კაპიტალს. მაგრამ საკითხი, თუ რა გზას დადგომოდა ხალხი, გადაწყვეტა თვით ხალხმა, ისტორიამ, მთელმა ჩვენმა ცხოვრებამ — და წარსული არასოდეს აღარ დაბრუნდება!

დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ რწმენით და მტკიცედ ვამბობთ, განაცხადა დასასრულ ა. ი. სნეჩკუსმა: საერთო ბრძოლახა და საერთო შრომაში გამოწრთობილი საბჭოთა ხალხებს მეგობრობა იყო, არის და მუდამ იქნება მტკიცე.

მხურვალედ შეხვდნენ საზეიმო სხდომის მონაწილენი უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **იანოშ კადარის** გამოსვლას. მან განაცხადა, რომ სოციალიზმის მშენებელი უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, უნგრელი ხალხი მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობას, მშვიდობის პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს. და იგი შეესაბამება კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს, ყველა ხალხის ინტერესებს.

პირველი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა; თვით საბჭოთა კავშირის არსებობამ, მისმა ბრძოლამ შეცვალეს მსოფლიოს რუკა და მისი სახე, საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო დამსახურება ის არის, რომ ევროპის ხალხებს შეუძლიათ ახლა დიდი რწმენით შეხედონ მომავალს. ვიეტნამის, ინდოჩინეთის ხალხებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან და სარგებლობენ ჩვენი ერთსულოვანი მხარდაჭერით, აგრეთვე ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავ სხვა ხალხებს შეუძლიათ იბრძოლონ თავისუფლებისათვის თავიანთი ბრძოლის წარმატების იმედით. საბჭოთა კავშირის ძლიერება, მისი მშვიდობისმოყვარული საერთაშორისო პოლიტიკა გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც კაცობრიობას საშუალებას აძლევს რეალურად იმედოვნებდეს, რომ შეუპოვარი ბრძოლა მშვიდობისათვის თავიდან აიცილებს ახალ მსოფლიო ომს.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან არის პროგრესისა და რეაქციის ძალების, სოციალიზმისა და კაპიტალიზმის, მშვიდობისა და ომის ძალების წყალობაყოფი. ჩვენი ეპოქის უცილობელი ჭეშმარიტება, განაგრძო ორატორმა, ის არის, რომ არ შეიძლება ერთის და იმავე დროს სოციალიზმს უჭერდე მხარს და საბჭოთა კავშირს კი არა. ამიტომ განწირულია ჩასაფშვად მოოსტური ხელმძღვანელობის ანტისაბჭოური, გამთიშველი. საქმიანობა. საბჭოთა კავშირის გარშემო ირაზმებიან სოციალიზმის მშენებელი ხალხები, კომუნისტური და მუშათა პარტიები. მთელი ძალები, რომლებიც ესწრაფვიან ერთიანობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი კეთილი ნების ყველა ადამიანის საიმედო ბურჯია.

კაცობრიობა დაუცხრომლად მიდის წინ, თქვა შემდეგ ი. კადარმა. მაგრამ ამავე დროს ჩვენ კარგად ვიცით, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობენ საშიში და შავბნელი ძალები, რომლებიც გულში ცბიერ ზრახვებს ატარებენ. მაგრამ ყველაზე შავბნელი რეაქციის ძალებიც კი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ საბჭოთა კავშირს, როგორც თანამედროვე მშვიდობის მძლავრ და უცილობელ ფაქტორს. ის ძალები, რომლებიც ისტორიის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ აღმართავდნენ ხოლმე იარაღს, ყოველთვის მარცხდებოდნენ მისი უძლეველი ძალის წინაშე.

ბრძოლის ქარცეცხლში გამოწრთობილი საბჭოთა კავშირი ახლა უფრო ძლიერი და მძლავრია, ვიდრე ოდესმე, ახლა განსაკუთრებით შეკავშირებულია სახელოვანი საბჭოთა კავშირი, რომელსაც თავისი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

რამდენიმე კვირის წინათ, ჩვენ, უზარელები, სიხარულით მივესალმეთ ჩვენს მიწა-წყალზე საბჭოთა კავშირის — ჩვენი დიდი მეგობრისა და მოკავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით. ეს ვიზიტი ჩვენი ძმური ერთიანობისა და თანამშრომლობის დემონსტრაციად. ჩვენს საბჭოთა მეგობრებს, აღნიშნა ი. კადარმა, პირადად შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ უნგრელი ხალხი ენთუზიაზმით, ღირსეულად აღნიშნავს საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ჩვენი ხალხი სულითა და გულით მიესალმება მოძმე საბჭოთა ხალხს, უსურვებს მათ შემდგომ დიდ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

კრემლის თაღებქვეშ პარტია თავის უმაღლეს ფორუმებზე აჯამებს ხალხის ბედისწერა მიღწეულებს შედეგებს და ამუშავებს კომუნიზმისაკენ ქვეყნის განუხრელი წინსვლის ახალ გრანდიოზულ პერსპექტივებს. თქვა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ი. ი. ბოდიუღმა. ახლაც ყრილობათა სასახლეში თავისუფლების, საბჭოთა ხალხის თანასწორობისა და ძმობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ჰიმნად გაისმა დინამიზმით აღსავსე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ისტორიული მოხსენების სიტყვები. ისინი აღსავსეა განვლილი გზის ღრმა აზრით. ჩვენი მონაპოვრების სიდიადითა და წარუვალი მნიშვნელობით, რომლებიც წარმოშობენ მაღალ სულიერ აღმავლობას, ქანონიერი სიამაყის გრძნობას მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის.

სოციალიზმისა და ხალხთა ძმობის პირობებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა განვლეს გზა სიღატაკიდან, უწიგნურობიდან, შრომის პრიმიტიული იარაღებიდან სოციალისტურ სიკეთეთა, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების მაღალ დონემდე.

ორატორმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის მძიმე ამინდის პირობებში რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა სამშობლოს მეღლებში შეინახეს 900 ათასი ტონა მარცვლეული, რაც ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე გათვალისწინებულზე. მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის შეკვეთები. მოღლაველმა მიწათმოქმედებმა ახლა გააჩაღეს ბრძოლა ხუთწლედის მესამე წელს ჰექტარზე 36-40 ცენტნერი ხორბლის, 48-50 ცენტნერი სიმინდის, 350 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებისათვის. მათ გადაწყვიტეს აწარმოონ 1,7 მილიონ ტონაზე მეტი ხილი და ბოსტნეული, მიღებულია ვალდებულება წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაადიდონ 20 პროცენტით.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, განაგრძო ი. ი. ბოდიუღმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების თეორიულმა დასკვნებმა და მეცნიერულად დასაბუთებულმა ღიმპულებებმა საბჭოთა სოციალისტური ერების დიალექტიკური ურთიერთმოქმედების შესახებ. ჩვენთვის, ისევე როგორც სხვა ერთნების მშრომელებისათვის, რუსი ხალხი იყო, არის და მუდამ იქნება ერთგული და უანგარო მეგობარი, რომელიც გვიჩვენებს ჰუმანიტარ ინტერნაციონალიზმის მაგალითს.

მოლდაველი ხალხი ამაყობს, რომ დიდი საბჭოთა ხალხის წევრია და შეილური მაღლობის გრძნობით აღსავსე თავის სანუკვარ ფიქრებს, გრძნობებს მიაპყრობს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, ეს მან — ლენინის პარტიამ ლეგენდარულ პრომეთესავით მისცა მშრომელებს სიზოგადოებრივ რევოლუციური გარდაქმნის ცეცხლი. სამოდამდე შეიკავშირა ჩვენი ხალხები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

ყველა ჩვენი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის გარანტიაა ჩვენი პარტიის სიბრძნე, თქვა დასასრულ ი. ი. ბოდიუღმა. ლენინური შორსმჭვრეტელობა, რევოლუციური გამბედაობა და გაქნილი, რომლითაც მისი ცენტრალური კომიტეტი წყვეტს საშინაო და საერთაშორისო პრობლემებს, მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას წარმართავს XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული ეკონომიური და სოციალური პროგრამის განხორციელებისათვის.

ის თვალი, რომ ჩვენ აქ შევიკრიბით, თქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოთ საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **თოდორ ჟივკოვმა**, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ დამსწრენი, ის თვალი, რომ ამ დღეებში მთელი მსოფლიო სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობს საბჭოთა ქვეყნის შესახებ. — მშვიერმეტყველურად ადასტურებს. რომ სსრ კავშირის შექმნას მსოფლიო-ისტორიული, მთელი კაცობრიობის ბედისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე მსოფლიოს სურათი ძალიან შეიცვალა, თქვა ორატორმა სამოცდაათიანი წლების მსოფლიო ძირეულად განსხვავდება ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მსოფლიოსაგან. დიიხანს იბრძოდნენ მთელი ღამედამეს ხალხები, ბევრი მსხვერპლი გაიღეს მათ ამ ათწლეულების მანძილზე იმისათვის, რომ ფეხი სამართლიანი და უკეთესი გაეხადათ ცხოვრება, ჭეშმარიტ მომავლის იმედი. მაგრამ რიგი ადამიანის თვალს ვიარეთ ამ ბრძოლი ისტორიული გზის დასაწყისს და სრულიადაც არ ვამცირებთ სხვა ქვეყნების, სხვა ხალხების, სხვა პროგრესული მოძრაობების ბრძოლისა და მსხვერპლის მნიშვნელობას, მაგრამ ეერებთ ახლა ამ ბრძოლის ფონზე, ამ ფონზე ჩანს, ასეთ ფონზე ჩანს, ასეთ ფონზე ჩანს, ასეთ

მოძმე ხალხების ურღვევი კავშირი

(დასასრული)

ტრიბუნაზეა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ა. ე. ჭიჩინინი. დიდი საბჭოთა ხალხი, თქვა მან, თავისი მძლავრი მრავალეროვანი სამშობლოს ამ სახელოვან იუბილეს აღნიშნავს უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამორჩენილი განაპირა მხარე სომხეთი გადაიქცა დიდად განვითარებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მრავალდარგოვანი თანამედროვე ინდუსტრია, მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მაღალი დონე. მისი სამრეწველო წარმოების მოცულობა 500-ჯერ და მეტად გაიზარდა.

დღეს სომხეთი ამაყად მიაბიჯებს თანასწორი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში კომუნიზმისა და პროგრესის გზით. რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ესმით, რომ მთელ თავიანთ წარმატებებს ისინი უფროსი ყოველისა უნდა უმადლოდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობისა და ურთიერთდახმარებას, რომ ყველი ეს მიღწევა საბჭოთა ადამიანების ერთობლივი შრომის შედეგია.

ა. ე. ჭიჩინინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსმა ხალხმა სამართლიანად მოიხვეჭა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა თავისი დაუმრეკელი რევოლუციური ენერგიისა და თავდადების წყალობით, თავისი შემოქმედებითი გენიისა და შრომისმოყვარეობის, უანგარო გულუხვობისა და დიდი ინტერნაციონალური გმირობის წყალობით. სომხეთის კომუნისტთა და მშრომელთა სახელით მან დიდი მადლობა მოიხადა დიდ რუს ხალხს იმ უანგარო და ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელსაც სომეხ ხალხს უწევდა და უწევს კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე.

განვლილმა ათწლეულებმა უცილობლად დაადასტურა, რომ სომეხი ხალხის, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის აღორძინებისა და აყვავების ერთადერთი გზა იყო დიდი ოქტომბრის მიერ გაკაფული გზა, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მომძმე რესპუბლიკების ძმაკაცურ კავშირში ხალხთა ლენინური მეგობრობის გზა.

შემდეგ გამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი ერნიკო ბერლინგუერი, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ. მან თქვა, რომ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საბჭოთა კავშირის შექმნა იყო შემოქმედებითი კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც დასაბამი მისცა კლასობრივი და ეროვნული ჩაგრისაგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობას.

საბჭოთა სახელმწიფოს ძალებმა და პოლიტიკამ შეცვალა მსოფლიოში პროგრესის ძალებისა და რეაქციის ძალების, მშვიდობის ბანერისა და ომის ძალების თანაფარდობა, დასაბამი მისცა განთავისუფლებისა და განახლების საერთო პროგრესს, რომელიც გავრცელდა ყველა კონტინენტზე.

ნაცისტური და ფაშისტური ბარბაროსობის დამარცხება, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის დამსახურებაა. საბჭოთა კავშირის გამოცდილება და მხარდაჭერა შთაგონებს სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობებს აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მან განაცხადა, რომ მთელი რევოლუციური, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობისა და მხარდაჭერის გაძლიერება, რათა შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია. საჭიროა ვიბრძოლოთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაწყვეტისათვის. საჭიროა ვემოქმედოთ ევროპის უშიშროების საკითხებზე თათბირის მოწვევის, ევროპაში დაძაბულობის შენელების განმტკიცების სასარგებლოდ.

50 წელზე მეტია ჩვენს პარტიებს, თქვა ე. ბერლინგუერმა, აქვთ მტკიცე მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობა, რაც განოგტაკვს ჩვენს ერთიან მარქსისტულ-ლენინურ და ინტერნაციონალურ შეხედულებებს და ბევრ ერთობლივ ბრძოლას. ამ ურთიერთობის განვითარება შეესაბამება ჩვენი ხალხების მისწრაფებებს და ჩვენი ქვეყნების ინტერესებს.

გამოდის თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი მ. გაპუროვი. უდიდესი ყურადღებით, დიდი კმაყოფილებით, სიხარულითა და ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი სიამაყით მოვისმინეთ, თქვა მან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო, ისტორიული მნიშვნელობის მოხსენება. მოხსენებაში ღრმად და ყოველმხრივ არის გაანალიზებული ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს დიადი და სახელოვანი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცხოვრების 50 წლის მანძილზე კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინის იდეებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ერთიან მონოლითურ ოჯახად შეაკავშირა საბჭოთა ხალხები, აღზარდა ისინი პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით. საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევათა მაგალითზე დამაჯერებლად და ნათლად ხედავს მთელი მსოფლიო ჩვენი წყობილების უდავო უპირატესობებს ცხოვრების ყველა დარგში, მათ შორის ისეთ დიდმნიშვნელოვან სფეროშიც, როგორიცაა ერებისა და ეროვნული ურთიერთობის განვითარება.

დიდი რუსი ხალხის და ჩვენი საყვარელი სამშობლოს სხვა ხალხების ძმური დახმარების მეოხებით, თქვა მ. გაპუროვმა, თურქმენეთმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, ათწლეულების მანძილზე განვლო საუკუნეების გზა. ბი, რატომ არის, რომ დღეს თვითეული თურქმენის გული აღსავსეა უსაზღვრო სიყვარულითა და მადლიერებით დიდი ლენინისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, რომელმაც ჩვენს ხალხს დაუსახა ბედნიერი ცხოვრების, ერთიანების, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან მეგობრობის გზა, უდიდესი უანგარო ძმური დახმარებისათვის.

ორატორმა ილაპარაკა იმ დიდ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც დღეს თურქმენეთში სუფევს. თავიანთი სამშობლოს სახელოვან ნახევარ საუკუნის იუბილეს თურქმენი მენავთობეები, გაზის მომპოვებლები, მხვნელ-მთესველები და მეცხოველეები, მებადურები და მშენებლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები შესანიშნავი საწარმოო მიღწევებით შეხვდნენ.

ჩვენი სიამაყეა რესპუბლიკის ეკონომიკის წამყვანი დარგი — მებამბეობა, — თქვა შემდეგ მ. გაპუროვმა. მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ მებამბეები ღირსეულად შეხვდნენ დიად დღესასწაულს და შესარულეს სიტყვა, რომელიც მისცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ქვეყნის მებამბეთა ტაკვენტის თათბირზე. პირნათლად შეასრულეთ სოციალისტური ვალდებულებანი: სახელმწიფოს მიეყიდეთ 930 ათას ტონაზე მეტი ხამი ბამბა. რესპუბლიკის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად არის წარმოებული ამდენი ბამბა.

ამ ნათელ და სასიხარულო დღეს, თქვა დასასრულ მ. გაპუროვმა, აღვთქვამთ-სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, რომ საბჭოთა თურქმენეთის მშრომელები გაამრავლებენ თავიანთ ძალებს, რათა განახორციელონ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებენ თავიანთ რიგებს მშობლიური პარტიის გარშემო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ყველა ხალხის ინტერნაციონალური მეგობრობისათვის ბრძოლაში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის სახელით, ყველა იმათ სახელით, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში იბრძვის იმპერიალიზმის, რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური პროგრესისათვის, მიესალმა და მიუღოცა საბჭოთა ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი **გუს ჰოლი**, რომელსაც შეერთებული მხურვალე ტაშით შეხვდნენ. საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის იუბილე თვალსაჩინო მოვლენაა, რომელიც მოასწავებს გიგანტურ ნაბიჯს ადამიანთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში. სსრ კავშირის უდიდესი მიღწევები უბადლოა ისტორიაში და განსახიერებენ მუშათა კლასის საქმეების სიდიადეს. ისინი მოწმობენ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუშრეტელ ცხოველმყოფელობას, დაუშრეტელ სიბრძნეს, ქედუხრელ ძალას. ეს არის, განაცხადა მან, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს და პირადად თქვენი დამსახურება, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ.

ორმოცდაათი გმირული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, დიდი შსჩერეპლის ფასად უდიდესი წვლილი შეჰქონდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მუდამ იყო მსოფლიო მუშათა მოძრაობის ბურჯი, ყოველნაირად უჭერდა მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. საბჭოთა პოლიტიკას ყოველთვის ახასიათებს პარმონიული კავშირი ეროვნულ ინტერესებსა და ინტერნაციონალურ მოვალეობას შორის.

საბჭოთა ხალხი კლასობრივი ექსპლოატაციისაგან, ეროვნული ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სახოგადოების შესანიშნავი და სასიცოცხლო ძალებით აღსავსე განსახიერებაა. ამის გასაოცარი კონტრასტია სახიზღარი რასისტული მოძრაობის ახალი მოხდენებება ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღნიშნა ორატორმა.

გუს ჰოლმ მრისხანე პროტესტი გამოთქვა ვიეტნამში დაბომბვის დანაშაულებრივი ესკალაციის წინააღმდეგ. ეს, ხაზი გაუსვა მან, კვლავ ამხილებს მთელი მსოფლიოს წინაშე ამერიკის იმპერიალიზმის ბარბაროსულ ხასიათს.

ანტიიმპერიალისტური ძალების გათიშვისა და დეზორგანიზაციის მიზნებს ემსახურება, განაგრძო გუს ჰოლმ, აშკარა ოპორტუნისტული პოლიტიკური კურსი, რომელსაც ჩინეთის ხელმძღვანელობა ადგას მაო ძე-დუნისა და ჭოუ ენ-ლაის მეთაურობით. ისინი ხელს უწყობენ კონტრრევოლუციას. ჩინეთის წარმომადგენელთა გამოსვლები თავით ბოლოდე სიყალბით არის გამსჭვალული და პროვოკაციული ანტისაბჭოური ხასიათი აქვთ. ჩინეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკა კონტრრევოლუციურია. მსოფლიო რევოლუციური ძალები დუმლით გერ ანუკლიან გვერდს ამ პოლიტიკას. ეს გვეხება ყველას, მსოფლიო რევოლუციური პროცესის მონაწილე მთელ ძალებს.

საბჭოთა კავშირი, თქვა დასასრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, ორმოცდაათი წელიწადია ომდის შეურაა მილიონობით დაბეჩავებული და ბედკრული ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში, რომელსაც თავისუფლება სწყურიათ. საბჭოთა კავშირი რუშენას ენერგიას იმათ, ვინც იბრძვის კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანს შთაგონებს ბრძოლას ეროვნული ვანთავისუფლებისათვის.

ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **როდნეი არისმენდიმ** თავის გამოსვლაში განაცხადა:

ურუგვაის კომუნისტური პარტიის სახელით მინდა კმაყოფილება გამოვთქვა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო, რომელსაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ანტიიმპერიალისტური ბრძოლისათვის, მშვიდობის განსამტკიცებლად ბრძოლისათვის. ეს მოხსენება კონსტრუქციულია, იგი შეიცავს ღრმა იდეებს სოციალისტური ბანაკის და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის პრობლემებზე, იგი სახავს საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობისა და სოციალისტური თანამეგობრობის განვითარების პერსპექტივას.

50 წლის წინათ, დიდი ოქტომბრის ხუთი წლის შემდეგ ერები და ეროვნებანი პირველად გაერთიანდნენ თანასწორუფლებიან საფუძველზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. საბჭოთა კავშირის გამოცდილება ეროვნულ-კოლონიური საკითხის ძირეულ გადაწყვეტასთან პროლეტარული რევოლუციის ერების მაგალითია. იმათ, ვინც ჯაიმარჯვა ოქტომბრში, ვინც ირთგული იყო ლენინის ანდერძისა, ვისთვისაც ოქტო იყო ნაციონალიზმი და რეგიზიონიზმი, შექმნეს ინტერნაციონალიზმის ციადი სახელმწიფო, — დიახ, ხალხთა საბჭდნიერო, დიადი სახელმწიფო — ლენინის სახელოვანი პარტიის მეთაურობით, ვიიტნამის, კუბის, ეგვიპტის, ევროპის უშიშროების, თვით სოციალისტური სისტემის, ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოების საბედნიეროო.

შემდეგ როდნეი არისმენდიმ ილაპარაკა ლათინური ამერიკის მშრომელთა ბრძოლაზე დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის.

სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავსებს ყოველ ჩვენგანს საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაული, თქვა თავის გამოსვლაში ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ი. გ. კეგინმა.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო და შესანიშნავმა მოხსენებამ კვლავ გადაგვიმალა თვალწინ საბჭოთა ხალხის ენერგიზული ნაღვაწი და გმირობა, ეროვნებათა ურთიერთობის ლენინური ნორმა, ეროვნულ-დემოკრატიული ეროვნული ინტერნაციონალიზმის ბანერი, ეროვნულ-ეკონომიური ინტეგრაციის ბანერი, ეროვნული ინტერესებისა და ინტერნაციონალური ვალდებულების ერთიანობა

მსოფლიო დღეს

მთელი პლანეტის დღესასწაული

მსოფლიო პრესა მოსკოვის ზეიმის შესახებ

საბჭოთა კავშირის ორმოცდაათი წლისთავი მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობისა და პრესის უურადღების ცენტრშია. გაზეთებისა და ჟურნალების სტატიებში, რადიო და ტელეგადაცემებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა ხალხი თავისი მრავალეროვანი სახელმწიფოს ოქროს იუბლეს ეგებება უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის, ურღვევი ერთიანობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკრულობის ვითარებაში. უველა კონტინენტზე უდიდესი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ სსრ კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ, რომელიც მან წაიკითხა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

ბერლინი. დილის 7 საათსა და 55 წუთზე ადგილობრივი დროით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურმა ტელევიზიამ დაიწყო პირდაპირი გადაცემა მოსკოვიდან. ტელეკამერებმა მილიონობით მაყურებელს აჩვენეს კრემლის ყრილობათა სასახლეში სსრ კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომის გახსნის კადრები.

პრაღა. საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს ზეიმის აღნიშვნა ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიისა და რადიოს მთავარი თემაა. ტელევიზია აწარმოებდა პირდაპირ გადაცემას კრემლის ყრილობათა სასახლიდან, ამასთან სინქრონულად თარგმნიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას ჩეხურ და სლოვაკურ ენებზე.

დელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ“ უდიდეს ინტერესს იწვევს ინდოეთში.

ცნობას მოსკოვში საზეიმო სხდომის შესახებ ცენტრალური ადგილი უკავია ინდოეთის რადიოსა და ტელევიზიის გადაცემაში.

პარიზი. 21 დეკემბერს დილით ფრანსპრესის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ცნობა, რომ კრემლში საზეიმო, სადღესასწაულო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა. საფრანგეთის რადიო და ტელევიზია გადასცემენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას. ტელევიზიამ აწარმოებდა პირდაპირ გადაცემას კრემლის ყრილობათა სასახლიდან, ამასთან სინქრონულად თარგმნიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „თანამშრომლობის პრინციპების“ შესაბამისად, რომლებიც გასულ წელს მიიღეს საფრანგეთმა და სსრ კავშირმა.

ბონი. დასავლეთ გერმანიის რადიო აღნიშნავს, რომ მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ევროპის აქტუალურ პრობლემებს და გამოკაზეფს, კერძოდ, მოხსენების იმ ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, სადაც ფიქსირებულია ევროპაში არსებული საზღვრების ურღვევობა, დასავლეთ ბერლინის თაობაზე დადებულ შეთანხმებათა კომპლექსი, აგრეთვე ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ, — ეს უდიდესი შედეგია მშვიდობისა და უშიშროების გზით ევროპის განვითარებისა.

ვაშინგტონი. ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები დაწვრილებით აშუქებენ მოსკოვში სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის გახსნას, ფართოდ გადასცემენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შინაარსს და კომენტარებს. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა „გადაჭრით დაგმო“ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავანტიურა ვიეტნამში.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება მოსკოვში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის გახსნის როგორც უდიდესი საერთაშორისო მოვლენის შესახებ. სააგენტო ხაზს უსვამს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში კვლავ დადასტურდა საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური სოლიდარობა ვიეტნამელი ხალხისადმი. მოხსენებაში, აღნიშნავს სააგენტო, ხაზგასმულია, რომ ამერიკელი აგრესორები ვერაფერი ვერ ახალი ბოროტმოქმედებანი ვერ გასტეხენ გმირი ვიეტნამელი ხალხის ნებას, ვერ შეარყევენ მისი მებრძოლების სიმტკიცეს გაუწყონ ვიეტნამს ყოვლისაი მხარდაჭერა და დახმარება სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლაში. (საჟდესი, 22 დეკემბერი).

ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ხილის ბაღები 1.840 ჰექტარზეა გაშენებული, აქედან 570 სრულმოსავლიანია. ხუთწლედის მეორე წელს უხვი მოსავლით გაგვახარეს ბრეთელმა მეხილეებმა. მათ ხაუალოდ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 75,5 ცენტნერის ნაცვლად 108,5 ცენტნერი ხილი მიიღეს. სახელმწიფო დავალება შეხრულებულია თითქმის 145 პროცენტით. ხარეკორდო მოსავალი მიიღო მებაღემ ხ. კოკოზაშვილმა. მან ხამი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 184 ცენტნერი ვაშლი მიიღო.

ბრეთის ბაღებში ამ დღეებში მწკრივთაშორის გაფხვიერება და მინერალური სასუქების შეტანა მიმდინარეობს. საბჭოთა მეურნეობის მშრომელები საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. მათ მეცხრე ხუთწლედის მესამე წლისათვის გადადებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

ხურათებზე: ზემოთ — ხილის ხარეკორდო მოსავლით განთქმული მებაღე ხ. კოკოზაშვილი. ქვემოთ — მიმდინარეობს ბაღების მწკრივთაშორის გაფხვიერება.

ი. დავითაშვილისა და ხ. თევზაძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხალხური შემოქმედების ფესტივალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ორდღიანი დასკვნითი კონცერტით დამთავრდა საქართველოს პროფკავშირთა თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ფესტივალი მოაწყო რესპუბლიკის პროფსაბჭომ. ფესტივალს წინ უძღოდა პროფკავშირული თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების ზონალური დათვალიერება. 10 ნოემბრიდან ერთი თვის მანძილზე ფესტივალის ეტაპურმა ნახა ორასზე მეტი ანსამბლი. გამოავლინა ბევრი ახალი და ხაინტერესო შემსრულებელი, ამ დათვალიერების საუკეთესო კოლექტივებმა მიიღეს დასკვნით კონცერტში მონაწილეობის უფლება და უჩვენეს თავის ხელოვნება მთელი მისი ჟანრული მრავალფეროვნებით.

კონცერტის პირველ დღეს თავისი ხელოვნება უჩვენეს თვითმოქმედმა მსახიობებმა — საკოლმეურნეო მინდვრებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, ტექნიკუმების მოსწავლეებმა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებმა, რკინიგზელებმა, მეშახტეებმა.

საინტერესო პროგრამა წარმოადგინეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტაფაკომბინატის მეჩონგურეთა ანსამბლმა, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მხატვრულმა კოლექტივმა, რუსთავის ქიმიკოსთა კულტურის სახლის ვაჟთა კვარტეტმა, ზუსტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ვოკალურმა ანსამბლმა, ელმავალმშენებელთა, ფარნიგის კულტურის სახლის ტრადიციული ანსამბლმა — ცეკვებმა.

მეორე დღის გამოიდგნენ ბაქარელი, ბალანიძელი, ცოცენიძე, ნოსატურავი, ჯალიაშვილი, ბუსტონეა, თბილისის კულტურის სახლების თვითმოქმედების მონაწილენი.

შესანიშნავი საშემსრულებლო კულტურა უჩვენეს ქალაქ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და ელექტრომექანიკური ქარხნების კულტურის სახლების ანსამბლებმა, პროფკავშირთა აბჯარის კულტურის საოლქო სახლის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა, ახალციხის რაიონის აწყურის მრეცვეობა-მებრძოლნეობის საბჭოთა მეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა. მაყურებლები დიდხანს უკრავდნენ ტაშს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის ანსამბლს „სინათლეს“. ხაინტერესო იყო საქართველოს კომკავშირის სახელობის თბილისის კულტურის ცენტრალური სახლის აღმოსავლური ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის თანამედროვე ცეკვის ანსამბლის გამოსვლები. ქართული და უკრაინული ხალხების მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა თბილისის გორკის სახელობის კულტურის სახლის თვითმოქმედების მონაწილეთა და მათი სტუმრების — კიევის კვების მრეწველობის კულტურის სასახლის ქორეოგრაფიული ჯგუფისა და შანდუერეთა ტროის ერთობლივი გამოსვლა.

საუკეთესო კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და მიენიჭათ ფესტივალის ლაურეატების წოდება. (საქინფორმი).

ფიგნის თარო

უკრაინულად, სომხურად...

ახლახან კიევის სახელმწიფო გამომცემლობა „დნიპრომ“ დაბეჭდა და მკითხველს ცალკე წიგნად მიაწოდა ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის **რევაზ ჯაფარიძის** ნაწარმოებები „**მარუხის თეთრი ღმეები**“ და „**ბუსენავლილის სამრეკლო**“.

წიგნს დართული აქვს მწერლის ფოტოსურათი და გიორგი ნატროშვილის ვრცელი წერილი — „მწერალი და მისი წიგნები“. წიგნი უკრაინულად თარგმნა ო. ვასილენკომ. რედაქტორია ზ. კოვალი, მხატვარი — ო. ხოროუნჟი.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ჰაიასტანმა“ გამოუშვა **გიორგი პაპიაშვილის** წიგნი „**ხიცოცხლის დაბრუნება**“ — ავტობიოგრაფიული დოკუმენტური მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა საბჭოთა სახოგადოებამ პატარა ბიუნა ოჯახის დანგრევის შემდეგ, როგორ დაავაკაცა იგი. წიგნი, რომელიც მანამდე რამდენჯერმე გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე, სომხურად თარგმნა ს. მანველიანმა.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

ბერლინი, 21 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახლში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით — მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივანმა მ. კოლმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით — მინისტრმა ე. ბარმა.

ხელმოწერის შემდეგ მ. კოლმა და ე. ბარმა წაიკითხეს განცხადებანი, ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივანმა მ. კოლმა, შეესაბამება მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას, რომელსაც დიდი ხანია ახორციელებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ხელშეკრულების მეოხებით შეიქმნა საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ხალრთი საფუძველი ორი სახელმწიფოს ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ამ ხელშეკრულებით ცნობენ ხელშემკვრელ პარტნიორთა ხელშეუხებლობას, ანგარიშგებას ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, აგრეთვე მათ შორის არსებული საზღვრების ხელშეუხებლობას.

ეს ხელშეკრულება, ხაზგასმით აღნიშნა მ. კოლმა, სარგებლობას მოუტანს არა მარტო ორ გერმანულ სახელმწიფოს. არამედ ყველას, ვისაც ხურს მშვიდობა და დაძაბულობის შენელება. იგი ვანდა იმ ხელშეკრულებათა სისტემის დიდნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობას. მათ შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. იგი შეესაბამება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულ მიზნებს და ევროპის კონტინენტზე სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფისათვის სოციალისტურ სახელმწიფოთა შეთანხმებული პოლიტიკის ინტერესებს.

ხელშეკრულება ურთიერთობის საფუძვლების შესახებ, თქვა ე. ბარმა, ითვალისწინებს ევროპის ცენტრში შექმნილ საერთაშორისო-სამართლებრივ ვითარებას. ორივე გერმანული სახელმწიფო მიეკუთვნება სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემას, სხვადასხვა კავშირს და მათი თვალსაზრისები ბევრ საკითხში ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა ამ ხელშეკრულებაში ისინი გამოთქვამენ მშვიდობისადმი მისწრაფებას, აცნობებენ, რომ უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე. პატივს სცემენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და ძირითად პრინციპებს. აიღებდნენ ორი სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობასა და დამოუკიდებლობას საშინაო და საგარო საქმეებში. ამით იქმნება წანამძღვრები მათი კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, თანამშრომლობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, აღნიშნა ე. ბარმა.

მ. კოლმა და ე. ბარმა ერთმანეთს გაუთავლეს წერილები დამაბეჭდით საგზატაციელო საკონტროლო ბახასეები პუნქტების ბახსნის თაობაზე, აგრეთვე ორი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან სასაზღვრო კომისიის შექმნის შესახებ, რომლებიც მიიწვნიანენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებულ საზღვარს. მ. კოლმა ე. ბარს გადასცა წერილი, რომელიც ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომ ღონისძიებებს მოგზაურობისა და მიმოსვლის გაადვილებისათვის და სხვა საკითხებს.

მეადაჭრით გმოგენ

პარიზი. 22 დეკემბერი. (საკდესი). პარიზის საგიეტნამო თათბირზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ აქ გაავრცელა განცხადება, განცხადებაში აღნიშნულია, რომ 18 დეკემბრიდან 21 დეკემბრის შუადღემდე ამერიკის ავიაცია მასირებულად ბომბავდა ჰანოის. ამ თავდასხმებში დაახლოებით 180 თვითმფრინავი მონაწილეობდა.

აღნიშნული თავდასხმების დროს, ხაზგასმულია განცხადებაში, ამერიკის ავიაციამ დაბომბა ჰანოის ცენტრალური რაიონები და თითქმის ყველა გარეუბანი. საჰაერო თავდასხმის ობიექტი გახდა, კერძოდ, უბნები, სადაც განლაგებულია დიპლომატიური წარმომადგენლობანი, კულტურული დაწესებულებანი, სერიოზულად დაზიანდა კუბის საელჩოს, ისტორიული მუზეუმის, ჰანოის ვაგზლის, ფარმაცევტული ფაბრიკის შენობები. ამერიკის ავიაციამ დაბომბა უბნები, სადაც მდებარეობს ჰანოიში საფრანგეთის გენერალური დელეგაციის შენობა, დაიშალა ბევრი საცხოვრებელი უბანი. დაბომბვების შედეგად, აღნიშნულია განცხადებაში, ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები დაშავდა.

პარიზის მოლაპარაკებებზე ვიეტნამის დელეგაციის, ნათქვამია განცხადებაში, გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ბარბაროსულ საომარ მოქმედებას და მოუწოდებს მსოფლიო და ამერიკის საზოგადოებრივ აზრს შეაჩერონ მკვლელები, მოითხოვონ, რომ ამერიკის მთავრობამ შეწყვიტოს ჰანოის, ჰაიფონისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაბომბვა, შეწყვიტოს აგრესიული ომი ვიეტნამში.

მიფიდაკვეთა ატომური აფეთქება

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა ნევადის შტატის იუკა-ფლეტის პოლიგონზე მოაწყო 200 კილოტონამდე სიმძლავრის მიწისქვეშა ატომური აფეთქება, იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისია.

ეს წლის მეშვიდე მიწისქვეშა ატომური აფეთქებაა.

● **ჩიკაგოს „ო“ პარის** საერთაშორისო აეროპორტში კატასტროფა განიცადა „ნორტ სენტრალ ეირლაინსის“ კომპანიის ამერიკულმა სამგზავრო თვითმფრინავმა „დს-9“. ხშირ ნისლში აფრენისთანავე იგი დაეჯახა „დელტა ეირლაინსის“ კომპანიის თვითმფრინავს, რომელიც ჯდებოდა, და დაენარცხა ასაფრენი ზოლის მახლობლად „დს-9“ თვითმფრინავზე მყოფი 41 მგზავრიდან 11 დაიღუპა, 15 — მძიმედ დაშავდა და ჰოსპიტალში წაიყვანეს.

● **ეს ოთხი დღე** ზრილანკის რესპუბლიკის ცენტრალურ რაიონებს კოკისპირულად აწვიმდა, რამაც რაგალის ოლქში მეწყერი გამოიწვია. დაბა დაიანილში ძლიერი მეწყერის შედეგად სოფელი წალეკა ჰექტარნახევარმა მიწამ და ქვეშ მოიყოლა ორმოცდაათამდე კაცი, დაანგრია ჩაის ფაბრიკა, კოოპერაციული მაღაზია. წვიმისა და მეწყერის შედეგად შეწყდა მიმოსვლა რაგალისა და ახლომდებარე ქალაქების შემაერთებელ გზატკეცილზე.

● **თეთრი სახლის** წარმომადგენელმა გამოაცხადა პრეზიდენტ რ. ნიქსონის გადაწყვეტილება დანიშნოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის პოსტზე 43 წლის ჯეიმს შლეზინგერი, რომელიც ამჟამად ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარეა.

● **საფრანგეთის ეროვნული** კრების სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა პ. მესმერმა გამოაცხადა, რომ მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა მოაწყოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 1973 წლის მარტში. არჩევნების პირველი ტური, განაცხადა მან, მოეწყობა 4 მარტს, მეორე ტური 11 მარტს.

ფაქტები

საჭადრაკო მერიდიანებზე

ბაკო. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის საბოლოო შედეგები ასეთია:

15 ქულით 21 შესაძლებლიდან პირველ ადგილზე გამოვიდა ტალი (რიგა), რომელმაც მეოთხედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. 13 ქულით მეორე ადგილზეა ტუკმაკოვი (ოდესა), რომელმაც მოიპოვა საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება. 12,5 ქულა მოაგროვეს სავონმა (სარკოვი), კუზმინმა (ვორონეჟოეგრადი) და შუბინმა (ალმა-ათა). ბანვარში მოსკოვში მათ შორის გაიმართება დამატებითი მატჩ-ტურნირი (ორ წრედ) საზონთაშორისო ტურნირის ორი მონაწილის გამოსავლენად. 11,5 ქულა მოაგროვეს ბალაშოვმა და ვასიუკოვმა (ორივე მოსკოვიდან). 11-11 ქულა აქვთ ფურმანს. (ლენინგრადი) და ბაგიროვს (ბაქო). 10,5 ქულა აქვთ ლეონსა და ხოლმოვს (ორივე მოსკოვიდან), 10 ქულა — რაზუვაევს (მოსკოვი). 9,5 ქულა მოაგროვა ბრონშტეინმა, ზამკოვიჩმა (ორივე მოსკოვიდან), ჯინჯიხაშვილმა (თბილისი) და კაპენგუტმა (მინსკი), 9 ქულა — გუფელდმა (თბილისი), გიორგორიანმა (ერევანი) ზილბერშტეინმა (ორსკი) და რაშკოვსკიმ (კურგანი). 8,5 ქულა აქვს ფიდკოვს (კიევი), 7 ქულა — ალბურტს (ოდესა).

მოსკოვი. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს დამატებით მატჩ-ტურნირი ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პრიორებს კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი), კონპლეოიოვსა (მოსკოვი) და ლეგეტინას (ლენინგრადი) შორის. ორი გამარჯვებული საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

დამთავრდა შეჯიბრების პირველი წრე. 1,5 ქულით წინაა კოზლოვსკაია, რომელმაც დაამარცხა ლეგეტინა და ყაიმზე შეუთანხმდა კონპლეიოვას. 1 ქულა აქვს კონპლეიოვას (იგი ყაიმზე შეუთანხმდა ლეგეტინას), ნახევარი ქულა — ლეგეტინას. დღეს 23 დეკემბერს იწყება მეორე, უკანასკნელი წრე.

□

ტურნე პანადაში

საბჭოთა კავშირის ჭოკვისტთა მეორე ნაკრებმა თავისი კანადური ტურნეს მერვე შეხვედრა გამართა ტორონტოში, სადაც შეხვდა ადგილობრივ „ტორონტო მარლბოროს“ ჰოკეისტებს მასპინძელთა გუნდი გაძლიერებული იყო სხვა გუნდების მოთამაშეებით. გიამარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 8:6.

კანადაში ჩატარებული 8 თამაშიდან ჩვენმა ჰოკეისტებმა 6 მოიგეს, ერთი წააგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს. საობიების შეფარდებაა 42:26 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

ტენისი

ბორკეში გაიმართა სპორტლოტოს ოცდამეთხუთმეტე ტურნირი. ამ ტურნირში ბედნიერი ალმოჩნდა შემდეგი ნომრები: 1. (ავიაასპორტი), 3 (აპრობატიკა), 10 (ბუენი), 32 (ფუალში ხტომა), 47 (ბურთიანი ოკეი), 49 (ფაში).

სპორტლოტოს ტირაჟი

ბულგარული გაჯეთის ცნობით

ბულგარეთის სპორტულმა გაზეთმა „ნაროდნე სპორტმა“ გამოაქვეყნა წლევანდელი შედეგების მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანთა სია, რომელშიც საქართველოს ორი სპორტსმენი წარია. ესენი არიან: სამხტომში მსოფლიო რეკორდსმენი, მეხიკოსა და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების რეკორდსმენი, ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი, ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი, ალეკსანდრ ფეხაკაძე, ვ. სანე